ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვების შესახებ №101

ქ. ვანი **12.06. 2023 წელი**

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მერის ალექსანდრე გოგორიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,მორიკა“ (შემდგომში - შემსრულებელი) წარმოდგენილი დირექტორის დავით სილაგაძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: ვანისა და ბაღდათის ეპარქიის რეზიდენციისთვის საჩუქრების შესყიდვა

CPV	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
39200000	სახილე 20x27სმ. "ოქროსფერი მრგვალი თასით, მოწნილი ჭილი სსადგამზე" SH-8948-1	ცალი	2	49	98
22300000	სურათი კედლის 48x44სმ. "საიდუმლო სერობა" 02058-35	ცალი	1	49	49
22300000	სურათი კედლის 104x45სმ. "დამბაჩამ, ოქროსფერი მართხკუთხა ფორმის მოჩუქურთმებული ჩარჩოთი" 02058-100gun	ცალი	1	135	135
31500000	დეკორატიული სანათი შტატივის ფეხზე მეტალის თავით 161003187	ცალი	1	281	281
22300000	სურათი კედლის 86x40სმ. "დამბაჩა, ოქროსფერი მართხკუთხა ფორმის მოჩუქურთმებული ჩარჩოთი"	ცალი	1	109	109
39200000	სარკე კედლის 46სმ. 54121 "ოქროსფერი, მრგვალი ფორმის, ჯაჭვის საკიდით" მეტალისაგან.	ცალი	1	133	133
31500000	ბრა	ცალი	8	25	200

CPV22300000-293 ლარი; CPV 31500000-481 ლარი; CPV 39200000-231 ლარი

1.3 სულ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება: 1005,00 (ერთიათას ხუთი) ლარი.

2. საქონლის მიწოდება

2.1 საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მთ. სპეციალისტი.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის, წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ჩაითვლება

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეებ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის

ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით

„შემსყიდველი"	„ მიმწოდებელი"
ვანის მუნიციპალიტეტი	შპს ,მორიკა"
მის: თავისუფლების ქ. N65	ქ.ქუთაისი წერეთლის ქ. N173
ს/კ229653256	ს/კ 412670275
სახელმწიფო ხაზინა	ა/ა GE72PC0013600100039077
TRESEGE22	MIBGGE22

ალექსანდრე გოგორიშვილი

Aleksandre Gogorishvili
Digitally signed by Aleksandre Gogorishvili

დავით სილაგაძე

David Silagadze
Digitally signed by David Silagadze
Date: 2023.06.12 19:08:46 +04'00'